№1353 2015 წლის 25 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სს „Novo Nordisk A/S“-ს შორის გასაფორმებელი „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულებების პროექტების მოწონების თაობაზე

1. „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სს „Novo Nordisk A/S“-ს შორის, „დიაბეტის მართვის“ (პროგრამული კოდი: 35 03 03 02) პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით განხორციელებული ელექტრონული ტენდერის შედეგად გასაფორმებელი „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულებების პროექტები:

ა) „შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში:

ა.ა) ხანგრძლივი მოქმედების და ხანმოკლე მოქმედების ინსულინის შესყიდვა; შესყიდვის ობიექტი - ინსულატარდი® პენფილი® 100ს.ე. 3მლ. -

11 500 კარტრიჯი, აქტრაპიდი®პენფილი® 100ს.ე. 3მლ. - 15 400 კარტრიჯი; CPV კოდი - 33600000 (ელექტრონული ტენდერი - SPA150012216);

ა.ბ) გლუკაგონის შესყიდვა; შესყიდვის ობიექტი - GlucaGen® HypoKit® წარმოებული რეკომინანტული დნმ ტექნოლოგიით (1 მგ ფხვნილი ხსნარისთვის, კუნთქვეშა და კანქვეშა საინექციო ფლაკონი + 1 მლ ხსნარი (საინექციო ხსნარი) წინასწარ შევსებული შპრიცი - 750 საინექციო ნაკრები; CPV კოდი - 33600000; (ელექტრონული ტენდერი - SPA150013941);

ა.გ) ინსულინის შპრიც-კალმისტრის შესყიდვა; შესყიდვის ობიექტი - NovoPen Echo® Blue NovoPen Echo® - 600 ცალი; CPV კოდი - 33100000 (ელექტრონული ტენდერი - SPA150012217);

ბ) „შაქრიანი დიაბეტით დაავადებული 18 წლის და უფროსი ასაკის პაციენტების მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში - ხანგრძლივი მოქმედების და ხანმოკლე მოქმედების ინსულინის შესყიდვა; შესყიდვის ობიექტი - ინსულატარდი® ფლაკონი 100 ს.ე. 10 მლ. - 43 000 ფლაკონი, აქტრაპიდი® ფლაკონი 100 ს.ე. 10 მლ. - 65 000 ფლაკონი; CPV კოდი - 33600000; (ელექტრონული ტენდერი - SPA150013940).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის ფარგლებში გასაფორმებელ/გაფორმებულ ხელშეკრულებებში ისეთი სახის ცვლილებების/დაზუსტებების შეტანა, რომლებიც არ უკავშირდება ხელშეკრულების მოშლის პირობების ან ხელშეკრულებაში გამოსაყენებელ სამართლად, უცხო ქვეყნის სამართლის ან/და დავების გადაწყვეტის მექანიზმად საერთაშორისო არბიტრაჟის, ან უცხო ქვეყნის სასამართლოს საკითხებს, არ საჭიროებს დამატებით საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებას.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**